

## ხატია კაჭარავა

ბორჯომის მუნიციპალიტეტის გეომორფოლოგიური შეფასება,  
გეოდინამიკური პროცესების ანალიზი

ელ-ფოსტა:khatia.kacharava2013@ens.tsu.edu.ge

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის,  
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა  
ფაკულტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტი. ი. ჭავჭავაძის #5

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორია, რომლის ფართობი შეადგენს 1189 კვადრატულ კილომეტრს გამოირჩევა თავისი გეოლოგიური, გეომორფოლოგიური, კლიმატური პირობებით. ეს რეგიონი გამოირჩევა გეოდინამიკური პროცესების აქტიური გამოვლინების თვალსაზრისით. კვლევის მიზანს წარმოადგენს ბორჯომის მუნიციპალიტეტის გეოეკოლოგიურად დაძაბული ტერიტორიების გამოვლენა, რაც დაგვეხმარება სამომავლოდ სარისკო ზონების დაფიქსირებაში, შეფასებაში და შემდგომ მათი თავიდან აცილების გზების შემუშავებაში.

გეომორფოლოგიურად შეფასებული იქნა აუზური კვლევის შედეგად მიღებული სხვადასხვა ჰიდროგრაფიული მახასიათებლები. ბორჯომის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოვლინდა სტიქიური გეოდინამიკური პროცესებით დაძაბული აუზები, დადგინდა კონკრეტულ აუზში წამყვანი სტიქიური გეოდინამიკური პროცესის სიხშირე და მოქმედების მასშტაბები.

კვლევის შედეგები შესაძლებელია გამოყენებული იქნას საკვლევო ბორჯომის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების საკითხების შეფასებისას.